

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 იანვრის №01-06/02 მორიგი
სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

2. „ ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედური საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევამე

3. პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე როლანდ ბერიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 15 თებერვალი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 თებერვალი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის 15 თებერვალს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის 22 თებერვალი.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივნისის №26 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016269, 05/07/2018).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = I_{MG} \times I_{TL} \times C \times K$$

სადაც:

- ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;
- ბ) I_{MG} არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;
- გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედაში ზონირება არ ხორციელდება)
- დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;
- ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედაში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მიღებულ სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანა და მისი ჩამოყალიბება ახალი რედაქციით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია, დადგინდეს ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - ზონირების მიხედვით და განისაზღვროს მისი გამოანგარიშების წესები.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტი (დადგენილება) მიიღოს ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგენა გამომდინარე აქედან თუ როგორ ხდება აღნიშნულ საკითხის სამართლებრივი რეგულირება დაწვრილებით გადმოცემულია დადგენილების პროექტზე თანდართულ დანართებში, კერძოდ:

1. ქედის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$C_N = IMG \times I_{TL} \times C \times K, \text{ სადა:}$$

ა) C_N არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) IMG არის დაბა ქედის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0.38-ს;

გ) I_{TL} არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს; (რადგან დაბა ქედში ზონირება არ ხორციელდება)

დ) C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0.24 ლარს;

ე) K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით დაბა ქედში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

IMG	I_{TL}	C	K	C_N (ლარი)
0.38	1	0.24	80	7.30

3. ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2.19 ლარს.

4. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 1.82 ლარს.

5. ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს)

არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ქედისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3.65 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-4 პუნქტით დადგენილი ფასი.

ასევე, წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად ხდება ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივნისის №26 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 200140030.35.134.016269, 05/07/2018). ხოლო, მესამე მუხლით განსაზღვრულია დადგენილების ძალაში შესვლის საკითხი.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა სამართლებრივად დროულად მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

9. დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

10. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ამირან დევამე).

11. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 15 თებერვალი.

12. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 22 თებერვალი.

13. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

14. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.ge).

15. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალამემ.

16. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2019 წლის 14 თებერვალს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2019 წლის 15 თებერვალს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2019 წლის 22 თებერვალი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილება (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 09/02/2012, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.134.016074).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს კანონმდებლობასთან ქედის მუნიციპალიტეტის ნორმატიულ აქტთა შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ „ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილება ცხადდება ძალადაკარგულად და აღნიშნული საკითხი ჩამოყალიბდება საკრებულოს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

„ ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესის (ინსტრუქციის) დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ ახლებურად და კანონმდებლობის შესაბამისად ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით მოწესრიგდება ქედის თვითმმართველობის ორგანოების მიერ საწვავით სარგებლობის წესი.

ძირითადი არსი რაც საფუძვლად უდევს ამ ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი დასკვნა (შემოსული დოკუმენტი №58/04, 22.02.2017 წელი), რომლის მიხედვითაც ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის №2 დადგენილების შინაარსი წარმოადგენს ინდივიდუალური-ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით დასარეგულირებელ საკითხს.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

გ.ბ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების პროცესში გავლილი იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტთან სამართლებრივი კონსულტაციები.

დ. ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში წინასწარი სამართლებრივი დასკვნა არ მიღებულა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალამე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ამირან დევაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2018 წლის 20 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა ამომრჩეველთა მიერ ხელმოწერილი პეტიცია, რომელიც შეეხებოდა „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთებას“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის 11-ე პუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის 11-ე პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №01-07/21 ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით განცხადება (პეტიცია) უფლებამოსილების შესაბამისად, გადაიგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში (მერისთვის).

პეტიცია განხილული იქნა მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია (მერის პირველი მოადგილის 2019 წლის 23 იანვრის №03/18730 წერილი, შემოსული კორესპოდენციის საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის №12/04; 24/01/2019) მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის, შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ცნობად იქნეს მიღებული პეტიციების განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ანგარიში

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, 2018 წლის 28 დეკემბრის წერილით
გადმოგზავნილი პეტიციის - „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და
მცირე სკვერის გაკეთების თაობაზე“ განხილვის შესახებ**

მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა მოქალაქე დავით ანანიძის (მცხოვრები დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N13 ბინა 7) მიერ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარდგენილი პეტიცია ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების თაობაზე და მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე დაიგეგმოს პეტიციის შესასრულებლად შესაბამისი სამუშაოები, რისთვისაც 2019 წლის 17 იანვარს გამოცხადებული იქნა ტენდერი (NAT1900000442) საჭირო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულება მოხდება 2019 წლის 25 მაისამდე, რის შემდგომ გაფორმდება ხელშეკრულება გამარჯვებულ პრეტენდენტთან და ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გამოცხადებული იქნება ტენდერი დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სატენდერო პროცედურის დასრულებისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით 2019 წლის მეორე ნახევარში მოხდება სამუშაოების დასრულება და ზვარის თემის ცენტრში აშენებული იქნება ახალი მცირე სკვერი, რომლის შესყიდვა მოხდება ბიუჯეტში პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი ხარჯებიდან.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2019 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის
შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 125-ე მუხლის გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ცნობად იქნას მიღებული (2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე), თანახმად დანართი №1-სა.

2. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს მუშაობის შესახებ
საანგარიშო პერიოდი 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო არის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებას. საკრებულო შედგება 15 პროპორციული და 9 მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრებისაგან.

საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

- ა) კანონიერება;
- ბ) საჯაროობა;
- გ) კოლეგიურობა;
- დ) დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა;
- ე) წარმომადგენლობითი პრინციპულობის დაცვა;
- ვ) მოსახლეობის აზრის გათვალისწინება;
- ზ) თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- თ) ანგარიშვალდებულობა მოსახლეობის წინაშე;

საკრებულო, მისი ორგანოები და თანამდებობის პირები თავის საქმიანობაში ხემძღვანელობენ და მათი უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონტიტუციით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

საკრებულოს უფლებამოსილება გააჩნია კონკრეტულ სფეროებში, რომლებზეც არ შეეჩერდება. უკვე დაწყებულია და ცენტრალურ ხემძღვანელობას გაწერილი აქვს 2019-2025 წლების სტრატეგია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის შესახებ. მმართველობის ეს სტილი მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და საშუალებას მოგვცემს ჩვენ თვითონ განვსაზღვროთ მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები. ამ შემთხვევაში ხდება მუნიციპალიტეტის უზრუნველყოფა, როგორც ფინანსური ისე მატერიალური საშუალებებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის 01 იანვრიდან ძალაში შევიდა მუნიციპალიტეტის დაფინანსების, კერძოდ დღგ-ს განაწილების ახალი წესი, რამაც საშუალება მოგვცა მნიშვნელოვნად გაზრდილიყო წლიური ბიუჯეტი. ეხლა მიდის მსჯელობა საშემოსავლო გადასახადის პროპორციულად განაწილების პრინციპის შესახებ, რაც კიდევ უფრო მოგვცემს საშუალებას ბიუჯეტი იყოს უფრო მზარდი.

მიმდინარე მოწვევის ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობა 2018 წლის განმავლობაში იყო ნაყოფიერი. საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან, ერთობლივი მუშაობით მიღებული იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლის განხორციელება ხელს უწყობს მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკურ განვითარებას. პრაქტიკამ ცხადყო, რომ კანონშემოქმედებით საქმიანობას სჭირდება პროცედურების მაქსიმალურად დაცვა და პუნქტუალობა, საკითხების მომზადებაში არამარტო დაინტერესებული მხარეების, არამედ საკრებულოს თითოეული წევრის მეტი ჩართულობა, რაც ამცირებს ხარვეზების და შეცდომების დაშვების შესაძლებლობას. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები როგორცაა: ადგილობრივი თვითმმართველობის

ბიუჯეტი, ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების პროგრამების დამტკიცება, კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ საკრებულომ თავისი საქმიანობის პროცესში მნიშვნელოვნად სრულყო მუშაობა რეგლამენტის შესაბამისად. კერძოდ, ეს ეხება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების კომისიებში წინასწარ განხილვას, საკითხებზე შესაბამისი დასკვნების მომზადებას, ოქმების წარმოებას და ა.შ.

მნიშვნელოვანია, რომ არ მომხდარა საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარმოდგენილი საკითხების ხელოვნურად შეფერხება, პირიქით, ვცდილობთ, მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში მოხდეს საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საჯაროა და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

მიმდინარე მოწვევის საკრებულომ განიხილა და მიიღო ისეთი მშენებლური ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, როგორცაა:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის N6 დადგენილება.

2. ქედის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლების გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N24 დადგენილება.

3. ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N25 დადგენილება.

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N26 დადგენილება.

5. „ქედის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N27 დადგენილება.

6. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების – ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის N29 დადგენილება.

7. ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთის განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N30 დადგენილება.

8. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების (რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე) განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N32 დადგენილება.

9. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N35 დადგენილება.

10. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესისა და გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს N45 დადგენილება.

11. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N46 დადგენილება.

12. ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N49 დადგენილება.

ასევე საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილი იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებმაც გააუმჯობესეს ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 13 თებერვლის N12 განკარგულება

2. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 12 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 26 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2018 წლის 30 მარტის N21 განკარგულება

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 30 მარტის N22 განკარგულება

4. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 30 მარტის N23 განკარგულება

5. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობებიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 13 აპრილის N34 განკარგულება

6. ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 08 ივნისის N54 განკარგულება

7. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლისთვის - სსიპ შოთა ანანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 29 ივნისის N57 განკარგულება

8. სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურის საჯარო სკოლისთვის - სსიპ რამინ ბერიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურის საჯარო სკოლის სახელის მისანიჭებლად თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 29 ივნისის N58 განკარგულება

9. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 29 ივლისის N74 განკარგულება

10. ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობანაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 31.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ 2018 წლის 24 აგვისტოს N82 განკარგულება

11. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღზრდელპედაგოგების/აღზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 10 სექტემბრის N86 განკარგულება

12. ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სათვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ 2018 წლის 10 სექტემბრის N88 განკარგულება

13. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 09 ნოემბრის N96 განკარგულება

14. ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭების შესახებ 2018 წლის 09 ნოემბრის N97 განკარგულება

15. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 30 ნოემბრის N100 განკარგულება

16. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნცეთის მე-3 ქუჩის გაგრძელებისა და ამავე ქუჩაზე არსებულ IV ჩიხის მომდევნო უსახელო ჩიხისათვის ქედა ს. ქვედა მახუნცეთის მე-3 V ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ 2018 წლის 30 ნოემბრის N101 განკარგულება

17. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ 2018 წლის 28 დეკემბრის N103 განკარგულება

18. ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ 2018 წლის 28 დეკემბრის N104 განკარგულება.

2018 წელს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილობრივი მოქალაქეების მიერ პირველად ელექტრულ ფორმით წარმოდგენილი იქნა პეტიცია „ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის კეთილმოწყობისა და მცირე სკვერის გაკეთების შესახებ“. პეტიციის წარდგენის შესახებ განცხადება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 20 დეკემბერს №230/04-ით იქნა რეგისტრირებული, რომელიც განხილული იქნა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე და ბიუროს გადაწყვეტილებით წარმოდგენილი საკითხი გადაეცა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას, რაც დღეის მდგომარეობით განხილვის პროცესშია.

ასევე შექმნილია ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მუნიციპალიტეტის ორგანოების სხდომებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისთვის.

საკრებულოში არსებული კომისიები აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ წლის განმავლობაში, რომლებმაც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს, კერძოდ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიამ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად საკრებულოს არაერთ ნორმატიულ სამართლებრივ აქტში შესატანი ცვლილებები და დამატებები მოამზადა, რომელიც საკრებულოს სხდომაზე იქნა დამტკიცებული.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ადგილობრივ ბიუჯეტში განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები როგორცაა:

პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამა;

პროგრამა ქედის მუნიციპალიტეტის თემებზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსუქიკური აშლილობის პირებისათვის;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის და სხვა.

ასევე განიხილა და დადებითად შეაფასა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მუშაობა. აქვე უნდა აღინიშნოს 2018 წლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესახებ, მის მიზანშეწონილობაზე და ძირითად პრინციპულობაზე, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე.

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 2017 წლის 29 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N25 დადგენილებით, რომლის გადასახდელების თანხა 9 536 900 ლარი შეადგინა.

2018 წლის ბიუჯეტის **პირველი ცვლილება** განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N5 დადგენილებით. ცვლილების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 319 402 ლარით და შეადგინა 9 856 302 ლარი;

მეორე ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 08 ივნისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N22 დადგენილებით. ცვლილების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 1 522 100 ლარით და შეადგინა 11 378 402 ლარი;

მესამე ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 24 აგვისტოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N31 დადგენილებით. ცვლილების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 181 897 ლარით და შეადგინა 11 560 299 ლარი;

მეოთხე ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 25 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N48 დადგენილებით. ცვლილების შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტი გაიზარდა 141 900 ლარით და შეადგინა 11 702 199 ლარი;

2018 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა 11 418 399 ლარი განისაზღვრა, ხოლო ფაქტიური შესრულება 10 384 164 ლარი. (91%).

2018 წლის 28 დეკემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N49 დადგენილებით დამტკიცდა ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 11 512 800 ლარი შეადგინა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ დაასრულა მოქალაქეების მიერ შემოტანილი პეტიცია დაბა ქედის საცხოვრებელი სახლებისა და ადმინისტრაციული შენობებისათვის ახალი დამისამართებისა და ნუმერაციის განთავსების შესახებ. აღნიშნული ღონისძიების დასრულებით დაბა ქედაში დამისამართდა ყველა შენობა ნაგებობა და განთავსდა საინფორმაციო მისამართიანი აბრები.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ არაერთ მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად განიხილა 2019 წელში განსახორციელებელი ისეთი მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მუნიციპალიტეტში პირველად დაინერგა ესაა „შინმოვლის მიზნობრივი პროგრამა“, რაც საწოლზე მიჯაჭვულ ბენეფიციარების მომვლელის ფულად დახმარებას გულისხმობს; ასევე ინიცირებულია ახალი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დანგრევის პირას მისული ძველი სახლების ახლით ჩანაცვლებას.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 69 ერთეული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემა, რამაც ხელი შეუწყო შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის არსებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციის მიმდინარეობას.

საკრებულოს გადაწყვეტილებით ქედის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე და სულ ჯამში გადაცემული იქნა 36 261 გრძივი მეტრის სარწყავი არხები, რომელზედაც საჭირო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს, ზემოტ ხსენებული დეპარტამენტი

აღნიშნის ღირსია თითოეული საკრებულოს წევრის დამოკიდებულება შეჭირვებულ და სხვადასვა ფორმით დაზარალებულ მოსახლეობაზე დახმარება პირადი დანაზოგიდან, რომელიც უმნიშვნელოა, მაგრამ ჩვენი წვლილით გარკვეულწილად გავაუმჯობესეთ მათი მატერიალური მდგომარეობა.

წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს საკრებულოს მიერ გასული თორმეტი თვის მანძილზე გაწეული საქმიანობის შესახებ.

1. მონაცემები საკრებულოს ბიუროს სხდომების შესახებ

- ა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა - 22;
- ბ. საკრებულოს ბიუროს მიერ განხილული საკითხების რაოდენობა - 168;
- გ. საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს სხდომაზე გატანილი საკითხების რაოდენობა - 168;

2. მონაცემები საკრებულოს სხდომების შესახებ

- ა. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული საკრებულოს სხდომების რაოდენობა -22. მათ შორის:

ა.ა. მორიგი სხდომების რაოდენობა - 12;

ა.ბ. რიგგარეშე სხდომების რაოდენობა - 10;

ა.გ. დახურული სხდომების რაოდენობა: 0

ბ. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები, მათ შორის:

ბ.ა. მორიგ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა-109;

ბ.ბ. რიგგარეშე სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა - 46;

ბ.გ. დახურულ სხდომაზე განხილული საკითხების რაოდენობა: 0

გ. საანგარიშო პერიოდში მიღებული განკარგულების რაოდენობა - 104;

დ. საანგარიშო პერიოდში მიღებული დადგენილების რაოდენობა - 51;

გ. საანგარიშო პერიოდში მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა - 147;

ე. საანგარიშო პერიოდში უარყოფითი გადაწყვეტილებების რაოდენობა- 8;

3. მონაცემები საკრებულოში შემოსული განცხადებების რაოდენობის შესახებ

ა. საკრებულოში შემოსული განცხადებებისა და წერილების რაოდენობა - 236;

ბ. საკრებულოში შემოსული მოქალაქეთა კოლექტიური განცხადებების რაოდენობა - 2;

4. მონაცემები საკრებულოში მოქალაქეთა მიღების შესახებ

ა. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა -4;

ბ. საკრებულოს სხდომაზე მოქალაქეთა მიერ გაკეთებული განცხადებების რაოდენობა -0;

გ. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებული მოქალაქეთა რაოდენობა - 400;

5. მონაცემები საჯარო ინფორმაციის შესახებ

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებული მოთხოვნათა რაოდენობა	გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
30	30	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – შუქრი თურმანიძე	0

6. მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების არდაკმაყოფილების შესახებ

არ დაკმაყოფილებული მოთხოვნების რაოდენობა	უარის თქმის საფუძვლები(შე საბამისი საკანონმდებლო აქტები)	გადაწყვეტილებს მიმღები საჯარო მოსამსახურე (სახელი, გვარი, თანამდებობა)	გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები	მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობა
0	0	0	0	0

7. სტატისტიკური მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ:

შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები კატეგორიების მიხედვით	საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა საერთო რაოდენობა	დაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	არდაკმაყოფილებულ მოთხოვნათა რაოდენობა	ასლის მოსაკრებლის ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯების ჯამი
საქართველოს მოქალაქე	1	1	0	0
უცხო ქვეყნის მოქალაქე	0	0	0	0
მოქალაქეობის არმქონე პირი	0	0	0	0
ორგანიზაცია დაწესებულება	23	23	0	0
მედიასაშუალება (ბეჭდვითი, ონლაინ, სატელევიზიო საშუალება) / ჟურნალისტი	1	2	0	0
დიპლომატიური წარმომადგენლობა/ საერთაშორისო ორგანიზაცია	0	0	0	0
ადმინისტრაციული ორგანო	5	5	0	0

მინდა ავღნიშნო საკრებულოს ყველა წევრის დამოკიდებულება და პასუხიმგებლობა უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით. ამ შემთხვევაში იგულისხმება ყველა მტკიცებელი საკითხების მოგვარება, მოსახლეობის მდგომარეობის გათვალისწინება და შეძლებისდაგვარად კანონის ფარგლებში დადებითად გადაწყვეტა.

ვიტოვებ იმედს, რომ საკრებულოში მოქმედი 4 ფრაქცია კიდევ უფრო გააქტიურებს მუშაობასა და მოღვაწეობა იქნება უფრო ნაყოფიერი.

განსაკუთრებით მინდა შევხუთ კიდევ ერთხელ საკრებულოში მოქმედი კომისიების მუშაობას, რომელთა საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს საკრებულოს

თავმჯდომარე. კომისიების მუშაობაზე დამოკიდებული მნიშვნელოვანწილად მთლიანად საკრებულოს ეფექტიანი და ნაყოფიერი საქმიანობა.